პროფესიული მომზადების პროგრამა:

,,სასტუმროს მიღება-განთავსების განყოფილების მომსახურება“

პროგრამის სახელწოდება: ,,სასტუმროს მიღება-განთავსების განყოფილების მომსახურება“
პროგრამის სახე: ☐ **პროფესიული მომზადება** ☐ **პროფესიული გადამზადება**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐2 ☐3 ■4 ☐5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15სთ.
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 5, მაქსიმალური - 12.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი პირი, რომელსაც შეეძლება სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების თეორიული საფუძვლების განსაზღვრა, დაჯავშნის მომსახურების უზრუნველყოფა, სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა, სტუმართან ანგარიშსწორების პროცედურების უზრუნველყოფა, სტუმრის გაწერის უზრუნველყოფა და ღამის აუდიტის პროცედურების უზრუნველყოფა; ცვლის მოვალეობების ეფექტურად შესრულება, ცვლის გადაბარება და აუდიტის წარმოება.
სწავლის შედეგები: **მსმენელმა იცის და შეუძლია** 1. სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების თეორიული საფუძვლების განსაზღვრა; 2. დაჯავშნის მომსახურების უზრუნველყოფა; 3. სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა; 4. სტუმართან ანგარიშსწორების პროცედურების უზრუნველყოფა; 5. სტუმრის გაწერის უზრუნველყოფა; 6. ღამის აუდიტის პროცედურების უზრუნველყოფა; 7. ცვლის მოვალეობების თეორიული ასპექტების განსაზღვრა; 8. ცვლის მოვალეობების შესრულება; 9. ცვლის გადაბარების განხორციელება.
პროგრამის შემუშავების საფუძველი: **1.** სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მიერ №04-118, 12.06.2020წ. ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასტუმრო მომსახურება“
პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დოკუმენტის მქონე ყველა დაინტერესებულ პირს. პროფესიული მომზადების პროგრამის მოცულობა შეადგენს 182 საათს, აქედან შეფასებას დაეთმობა 14 საათი მე-5, მე-8 და მე-12 კვირაში. პროგრამა განხორციელდება 12 კვირის განმავლობაში კოლეჯში AB სასწავლო და C (სასტუმრო ოთახის სახელოსნო) გარემოში. კვირეული დატვირთა 11 კვირის განმავლობაში შეადგენს 15 საათს, ხოლო ბოლო მე-12 კვირაში - 17 საათს.

პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების თეორიული საფუძვლების განსაზღვრას, დაჯავშნის მომსახურების უზრუნველყოფას, სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების, სტუმართან ანგარიშსწორების პროცედურების, სტუმრის გაწერის და ღამის აუდიტის პროცედურების უზრუნველყოფას; ცვლის მოვალეობების ეფექტურად შესრულებას, ცვლის გადაბარება და აუდიტის წარმოებას.

პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება თეორიული გამოკითხვით (ტესტირება) და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. კურსდამთავრებულის მსმენელი მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.